ვ. ფშაველას №16
ქ. თბილისი
საქართველო

INFO.innosystems@GMAIL.COM
+995 32 237 10 07
+995 2370177
ს/ნ 405406317

B კლასის სასაწყობე მეურნეობის პროექტი

მისამართი: ქ. თბილისი, ზ. საკანდელიძის ქ.N21

ს/კ: 01.19.26.004.276

დამკვეთი: შპს ''ბიქეი ლოჯისტიკი''

მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი

შეასრულა ბ.გოგოლაური

შეამოწმა ე. ცარციძე

დირექტორი დ. ჩხენკელი

ქ. თბილისი 2025წ

შინაარსი

ა/ განმარტებითი ბარათი;

ბ/ კალენდარული გეგმა;

გ/ გრაფიკული ნაწილი:

ნახაზი მო-1;
ნახაზი მო-2;
ნახაზი მო-3.

ა/ განმარტებითი ბარათი

1. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი დამუშავებულია СниП 3.01.01-85 თანახმად და “საქართველოს მთავრობის დადგენილება №255, მუხლი №№18, 20”-ის თანახმად.

სამშენებლო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, აეროპორტის დასახლება, ს/კ 01.19.26.004.276. ტერიტორიაზე გათვალისწინებულია შემდეგი ობიექტების მშენებლობა:

--ძირითადი ობიექტი—სასაწყობე შენობა;
--საოფისე შენობა;
--დაცვის ჯიხური;
--სატუმბო.

ძირითადი შენობის კონსტრუქცია გადაწყვეტილია რკინაბეტონის ასაწყობი კარკასის სახით. კარკასში გამოყენებულია ორქანობიანი კოჭები, ანაკრები გადახურვის ფილები. საძირკველი იქნება წერტილოვანი.

ტექნო-ეკონომიკური მაჩვენებელი:

--ტერიტორიის ფართი----------20000.00მ^2

სამშენებლო ტერიტორია მიეკუთვნება 8 ბალიან სეისმურ ზონას.

2. საპროექტო ობიექტის მშენებლობის ხანგრძლივობა განისაზღვრება СниП 1.04.03-85 თანახმად. ანალოგი გვ 470, პ.23 T=18.00 თვე, სადაც 2.00---მოსამზადებელი პერიოდის ხანგრძლივობა. გვ 2, პ11-ის მიხედვით T=18.00+2.00=20.00 თვე. გვ 4, პ.17-ის მიხედვით T=20.00x1.10=22.00 თვე. დამკვეთის სურვილის თანახმად მშენებლობის ხანგრძლივობა მიღებულია **17.00 თვე.**

მოსამზადებელ პერიოდში უნდა განხოციელდეს შემდეგი სამუშაოები:

--დროებითი ღობის და ქუჩის მხრიდან საფარიანი ღობის დაყენება;
--ვერტიკალური გეგმარება და შიდა საპროეტო გზების მოწყობა საფარის გარეშე;
--საპროექტო ჯიხურის დაყენება;
--დროებითი “ნაგებობების” განლაგება უსაფრთხო ზონაში;
--სადემონტაჟო სამუშაოების განხორციელება;
--სამშენებლო ნაგვის გატანა;
--საპროექტო ქსელების გაყვანა;
--სამშენებლო მოედნის უზრუნველყოფა დროებითი წყლით და ენერგიით საპროექტო ქსელებიდან;
--სასაწყობო მოედნის გათვალისწინება;
--კონსტრუქციების და მასალების შემოტანა მოედანზე;

--სამშენებლო უბნის დროებითი განათება;
--ხანძრისგან დაცვის სისტემის გათვალისწინება.

3. სადემონტაჟო სამუშაოების განხორციელება უნდა მოხდეს ზემოდან ქვევით სათანადო კომისიის დასწრებით. სამუშოების დროს უნდა იყოს გათვალისწინებული:
ყველა მუშების სათანადო ინსტრუქტაჟი და უზრუნველყოფა სპეციალური ტანსაცმლით, დემონტირებული კონსტრუქციების დროებითი ადგილი, აქტის შედგენა ძირითადი პერიოდის სამუშაოების შესახებ.

ავარიული სიტუაციის შემთხვევაში უნდა მოხდეს სამუშაოების **შეჩერება.** ყველა საშიში ადგილი უნდა იყოს შემოღობილი სათანადო განათებით ღამის საათებში. სამშენებლო ნაგავი დროულად უნდა იქნას დატვირთული და გატანილი. მსუბუქი კონსტრქუციების გამო სამუშაოების განხორციელება მოხდეს ხელით.

მუშა-პერსონალის მუშაობის უსაფრთხოების პირობები:
--მოეწყოს სამუშაო მოედანზე გამაფრთხილებელი და აკრძალავი ნიშნები.

4. გრუნტის დამუშავება მოხდეს უკუჩამჩიანი ექსკავატორით და ხელით. დამუშავებული გრუნტი მთლიან მოცულობაში უნდა იქნას გატანილი. გრუნტის და ბალასტის უკუჩაყრა მოხდეს ხელით. სამუშაოების დაწყებამდე მოხდეს არსებული მიწისქვეშა ქსელების ადგილმდებარეობის დაზუსტება და საჭიროების შემთხვევაში მათი გადატანა.

გრუნტის დამუშავება მოხდეს СНиП-III-4-80, ცხრ№4-ის თანახმად.

5. წინამდებარე პროექტი ითვალისწინებს სამუშაოების განხორციელება შემდეგნაირად.

საჭირო სამონტაჟო მექანიზმების ძირითადი სია

N	დასახელება	დახასიათება

		მექანიზმი	დანიშნულება
1	სასაწყობე შენობა	საავტომობილო ამწე **KC-65717-34 --** 2 ცალი და სტაციონალურიბეტონის ტუმბო **Putzmeister P-715---** 2 ცალი	1. კარკასის ანაკრები კონსტრუქციების მონტაჟი საავტომობილო ამწის საშუალებით. ამწემ უნდა იმოძრაოს: --სვეტების მონტაჟისას—მიბმის ღერძთან პარალელურად; --გადახურვის სიტემის მონტაჟისას---შუა მალში, “უკუსვლით” --ანტრესოლის მოწყობისას--- გარე ღერძთან პარალელურად. 2. ბეტონის ნარევის მიწოდება
2	საოფისე შენობა	სტაციონალურიბეტონის ტუმბო **Putzmeister M52-5**	1. სამშენებლო მასალების მიწოდება ხელით 2. ბეტონის ნარევის მიწოდება ბეტონის ტუმბოთი
3	სატუმბო	სტაციონალურიბეტონის ტუმბო **Putzmeister P-715**	1. სამშენებლო მასალების მიწოდება ხელით 2. ბეტონის ნარევის მიწოდება ბეტონის ტუმბოთი
4	ჯიხური	-	1. სამუშაოების განხორციელება ხელით. მოწყობილი იქნას მოსამზადებელ პერიოდში და გამოყენებული იქნას მშენებლობისას.

მშენებლობის განხორციელების ეტაპები და რიგები:

პირველი რიგი---------მოსამზადებელი პერიოდის სამუშაოები:

--პირველი ეტაპი-----მოედნის მოწესრიგება----------**30 დღე;**

--მეორე ეტაპი---------მიწის ნაკვეთის გრუნტის ზედაპირის ცვლილება----------**15 დღე;**

--მეორე ეტაპი------შენობა-ნაგებობის გრუნტზე დაკვალვა და ძირითადი ღერძების დაფიქსირება----------**15 დღე.**

მეორე რიგი---------ძირითადი პერიოდის სამუშაოები:

--მეოთხე ეტაპი-------შენობა-ნაგებობის მიწის სამუშაოები, საძირკვლის მოწყობა,
ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა ნულოვან ნიშნულამდე----------**90 დღე;**
--მეხუთე ეტაპი-----ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა ნულოვანი ნიშნულიდან----------**120 დღე;**
--მეექვსე ეტაპი----სახურავის და გადახურვის მოწყობა----------**60 დღე;**
--მეშვიდე ეტაპი-----არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა----------**120 დღე;**
--მერვე ეტაპი----ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო ქსელების მოწყობა, ტექნოლოგიური
მოწყობილობების მონტაჟი----------**120 დღე;**
--მეცხრე ეტაპი--------შენობა-ნაგებობის გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები----------**150 დღე;**
--მეათე ეტაპი----------სატუმბოს მშენებლობა, მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობის სამუშაოები----------**90 დღე**.

5. უსაფრთხოების ტექნიკა

გრუნტის დატვირთვა ავტოთვითმცვლელებზე უნდა მოხდეს ან მანქანის გვერდიდან ან მანქანის უკანა ნაწილის მხრიდან.

სამუშაო ადგილები მუშაობის პირობებისა და ტექნოლოგიურობის გათვალისწინებით უზრუნველყოფილ უნდა იყოს კოლექტიური დაცვისა და სიგნალიზაციის საშუალებით.

საჰიდროიზოლაციო სამუშაოთა შესრულებისას და ზოგიერთ სხვა სამუშაოზე მუშები უნდა იყენებდნენ სპეცტანსაცმელს, რესპირატორებს და თავსაბურებს.

მასალებისა და ნაკეთობების დასაწყობება უნდა მოხდეს მათზე ტექნოლოგიური პირობათა გათვალისწინებით; ამავე დროს ისინი უნდა დაეწყოს მოსწორებულ ადგილზე, რომ მათი მოცურება არ მოხდეს.

გაშიშველი სადენების გამოყენება აკრძალულია. იკრძალება ვიბრატორის სხვა ადგილას გადატანა მისი ელექტროქსელიდან გამორთვის გარეშე.

6. გარემოს დაცვის ღონისძიებები

გარემოს დაცვის ღონისძიებები ქმნის პირობებს დამახასიათებელი ეკოსისტემებისა, მცენარეთა და ცხოველთა სახეობების, ბუნებრივი წარმონაქმნებისა და კულტურული არეალების დასაცავად და აღსადგენად.

პროექტირების დროს და შემდგომ მშენებლობაში გამოყენებული იყოს ნაკლებად ტოქსიკური სამშენებლო მასალები. წინამდებარე პროექტში აღნიშნულია მშენებლობის მოქმედების არეალი /სამშენებლო მოედანი /აუცილებლად უნდა იქნას შემოღობილი დროებითი ღობით.

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში იხილავს პირდაპირი და არაპირდაპირი ზემოქმედების ფაქტორებს გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე:

-ადამიანის ჯანმრთელობის და უსაფრთხოება;
-მცენარეთა საფარი, ბიოლოგიური ექოსისტემა;
-ატმოსფერული ჰაერის მოსალოდნელი დაბინძურების დონეები;
-ხმაურის მოსალოდნელი დონეები და მისი ზემოქმედება ადამიანის საცხოვრებელ გარემოზე.

არსებობს შემდეგი კანონები:

კანონი "გარემოს დაცვის შესახებ" 1996წ განსაზღვრას იმ ზოგად მოთხოვნებას , რომელიც უკავშირდება ჰაერის დაბინძურებას, წყლის აღებას და ჩაშვებას, ნარჩენებს, ხმაურს და სხვა საკითხებს.

კანონი "წყლის შესახებ" 1997წ შეეხება ზედაპირულ წყლებს, მიწისქვეშა წყლებს, მიმდებარე სანაპირო წყლებსა და ტერიტორიულ ზღვარს და განსაძვრავს წყლის აღებისა და ჩაშვების ლიცენზირებასთან დაკავშირებულ წესებს.

კანონი "ატმოსფერული ჰაერის შესახებ" 1997წ ითვალისწინებს ჰაერის კონტროლის და დაბინძურების შეზღუდვის დროებითი მეთოდოლოგიას, ჰაერის ხარისხის შედარება სტანდარტებთან, რომელიც სახსტანდარტს ეფუძნება.

კანონი " მავნე ქიმიური ელემენტების შესახებ" 1998წ მოიცავს მავნე ნივთირების კლასიფიკაციას და უსაფრთხო მოხმარებას.

გარემოს დაცვის სამსახურის ნებართვის გარეშე მშენებლობის სიახლოვეს იკრძალება მრავალწლიანი ხეებისა და ნარგავების მოჭრა-განადგურება.

ბეტონის შემოტანა უნდა მოხდეს სასაქონლო წესით ---ბეტონის მიქსერის და ბეტონის ტუმბოს საშუალებით.

საბათქაშო და მოსახვითი სამუშაოების შესრულებისას ფასადებს უნდა ჩამოეფაროს ფარად, რათა არ მოხდეს მტვრის გაბნევა.

მშენებლობის დამთავრების პერიოდში შენობიდან სამშენებლო ნაგვის ჩამოყრა ღიად დაუშვებელია, რათა ამ შემთხვევაშიც არ მოხდეს მტვრის გაბნევა. შენობა საჭიროა აღჭურვოს კონუსური ტიპის ნაგავგამტარით, ნაგვის ჩამოცვლა კი მოხდეს უშუალოდ ავტოთვითმცლელი ავტომანქანების ძარაში.

7. წინამდებარე განმარტებითი ბარათი იხილე ნახ მო-1, მო-2, მო-3 ერთად.

სტაციონალური ბეტონის ტუმბო **Putzmeister P-715-ის** ტექნიკური დახასიათება

1	დანადგარის ზომები	3.00x1.39x1.39მ
2	მექანიზმის წონა	1700.00კგ
3	წვდომა:	
	-ვერიკალურად	60.00მ
	-ჰორიზონტალურად	200.00მ

საავტომობილო ამწე **KC-65717-34 / IVECO Trakker /-ის** ტექნიკური დახასიათება

1	ბაზა	IVECO Trakker
2	ბორბლების ფორმულა	6x6
3	სრული მასა	38.60ტნ
4	სიმძლავრე	420ცხ. ძალა
5	ტვირთამწეობა	2.00-14.50ტნ
6	ისრის სიგრძე	26.60მ
7	ისრის შვერა	24.00-8.00მ
8	აწევის სიმაღლე	26.00-2.0მ
9	ამწის ზომა	12.00x2.50x4.00მ
10	საყრდენების შორის მანძილი	8.85მ

Putzmeister M52-5-ის ტექნიკური დახასიათება

1	მოცულობა	160.00მ³/სთ
2	აწევის სიმაღლე	50.00მ
3	შვერა	48.10
4	შლანგის სიგრძე	4.00მ
5	მანქანის სიგრძე	13.60მ
6	დგარების შორის მანძილი	10.20მ

ყურადღება!!! ნებისმიერი მექანიზმის მარკა შეიძლება შეცვლილი იქნას ანალოგიურ მარკაზე სამშენებლო ორგანიზაციის სურვილის თანახმად.

ბ/ კალენდარული გეგმა 17.0 თვე

| № ეტ | მშენებლობის განხორციელების პროცესის რიგები და ეტაპები | დღე | თვეები | | |



შენიშვნები:
1. პირითადი კორპუსის სამონტაჟო სქემაში ასახულია გადახურვის სისტემის მონტაჟი. ამწემ უნდა იმოძრაოს შუა მალში "უკუსვლით"
2. ანაკრები სვეტების მონტაჟისას ამწემ უნდა იმოძრაოს სვეტების მიბმის დერძთან პარალელურად

პირობითი აღნიშვნები

-საპროექტო პირითადი შენობა

-საპროექტო შენობა-ნაგებობა

-დროებითი "ნაგებობა"

-დროებითი ღობე

-დროებითი საფარიანი ღობე

ექსპლიკაცია

1	პირითადი სასაწყობე შენობა
2	საოფისე შენობა
3	დაცვის ჯიხური
4	სახანძრო სატუმბო სადგური
5	ბეტონის მიქსერი
6	სტაციონალური ბეტონის ტუმბო–2 ცალი
7	საავტომობილო ამწე
8	ბეტონის მობილური ტუმბო
9	დროებითი ღია სასაწყობო მოედანი
10	დროებითი ღობე
11	დროებითი საფარიანი ღობე
12	დროებითი შემოსასვლელი
13	სამუშაოთა მწარმოებლის "ოთახი"
14	დროებითი კმების "ოთახი"
15	დროებითი დახურული საწყობი
16	დროებითი ბიოტუალეტი

B კლიის სასმელის მეწარმეობის არქიტექტურული პროექტი

დამკვეთი: შპს "ბიჭი ლიფტინგი"

ს/კ 405698268

მისამართი: ქ. თბილისი, ზ. ჭყონდიდის ქ.N21

ს/ვ 01.19.26.004.276

WWW.innosystems.GE

ტ. ფრიდის #16 ქ. თბილისი საქართველო	INFO.innosystems@GMAIL.COM +995 32 237 10 07 +995 2370177 ს/ნ 405406317

1. ნახაზზე ზომები მოცემულია მილიმეტრებში.
2. განზომილების მიუხედავად პროექტი შესასრულებელი ეკისრებელის ევალიტეტი.
3. პროექტის ყველა ცვლილება შეთანხმებული უნდა იყოს პროექტის ავტორთან.

სტადია: მუშა

პროექტის ნომერი:
2024.08-32

ნახაზის ნომერი:
2

ნახაზის დასახელება:
სამშენებლო გენგეგმა—
—საპროექტო სამუშაოები

შესრულა	ბ.გოგოლაური	
შეამოწმა	ე. ცარციძე	
დირექტორი	დ. ჩიტაკელი	

ფურცლის ზომა	გვერდი	ფურცლის რაოდენობა
A3	გმ-2	3
მასშტაბი	1:1000	

04.09.2025



შენიშვნები: 1. საავტომობილო ამწის მარკა შეიძლება შეცვლილი იქნას ანალოგიურ მარკაზე სამშენებლო ორგანიზაციის სურვილის თანახმად
2. ანაკრები კონსტრუქციების მონტაჟისას გამოყენებული იქნას სპეციალური ტრავერსები

WWW.innosystems.GE

INFO.innosystems@GMAIL.COM
+995 32 237 10 07
+995 2370177
ს/ნ 405406317

ს/ნ 405698268

ს/კ 01.19.26.004.276

სტადია: მუშა

პროექტის ნომერი: 2024.06-32

ნახაზის ნომერი: 3

ნახაზის დასახელება:

სამონტაჟო სქემა

შეასრულა	ბ.გოგოლაური	
შეამოწმა	ვ. ცარციძე	
დირექტორი	დ. ჩხენკელი	

ფურცლის ზომა	გვერდი	ფურცლის რაოდენობა
A3	მო-3	3
მასშტაბი	1:550	

04.09.2025